

ნინო დოლიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
nino.dolidze@tsu.ge

კლასიკური არაბული მაკამები – თანამედროვე ინგლისურის სახელმძღვანელო

რეზიუმე

სტატია მე-12-მე-13 სს-ის მიჯნაზე მოღვაწე არაბი კლასიკოსი მწერლის ალ-ჰარი-რის მაკამების ახალ ინგლისურ თარგმანს გვაცნობს, ყურადღებას ამახვილებს მის მნიშ-ვნელობაზე მიმღები მკითხველი აუდიტორიისთვის. ალ-ჰარი-რის მაკამათა ციკლი თავის დროზე მეტად პოპულარული ნაწარმოები იყო, რომელიც ჯერ კიდევ შუასაუკუნე-ებში ითარგმნა სხვადასხვა აღმოსავლურ ენაზე. ევროპაში მაკამების ორიგინალი მე-13 ს-ში გამოჩნდა, მე-17 ს-ში ის ლათინურად ითარგმნა, მომდევნო საუკუნეებში კი ფრან-გული, ინგლისური, გერმანული და სხვ. თარგმანები გამოიცა. თუმცა რთული სტილის და ჩახლართული ლექსიკის გამო მაკამებს უთარგმნელ ნაწარმოებად მიიჩნევდნენ.

2020 წ. ნიუ იორკის უნივერსიტეტის გამომცემლობამ ალ-ჰარი-რის „მაკამების“ უახ-ლესი თარგმანი – „თაღლითობანი“ გამოაქვეყნა. კალიფორნიის უნივერსიტეტის (ლოს ანჯელესში) ასოც. პროფესორმა მაიკლ კუპერსონმა თარგმანის ხელახლა შესრულების მიზეზად არსებული ზედმიწევნითი ინგლისური თარგმანების არაპოპულარობა მიიჩ-ნია. მისი აზრით, მაკამების ლექსიკური თარგმანი ფართოდ ვერასოდეს გავრცელდება ანგლოფონურ კულტურაში.

ჩახლართული სტილი შუასაუკუნეების ახლო აღმოსავლური ლიტერატურის ეთი-კური ნორმა იყო. რაკი მუსლიმებისათვის არაბული გახლავთ ღმერთის ენა, მაშინდელ ავტორებს სურდათ, დაემტკიცებინათ, რომ ამ ენისათვის არაფერია შეუძლებელი. მთარგმნელი შეეცადა, დედნის ე.წ. „ვერბალური პერფორმანსი“ გადმოეტანა. „თაღლი-თობანი“ არის იმიტაცია, სადაც ინგლისურენოვანი მწერლების (შექსპირის, ჩოსერის, გილბერტის, ვულფის, დიკენსის და სხვ.) იდიომები და გლობალურად გავრცელებული სალაპარაკო ინგლისური (ესპანური, ინდური, აფრო-ამერიკული, სინგაპურული, ნიგე-რიული) ენა გამოყენებული. კუპერსონმა ალ-ჰარი-რის „ლინგვისტური ხრიკების“ ინ-ტერპრეტაცია შემოგვთავაზა. სიტყვათა თამაშისა თუ სტილთა მრავალფეროვნების ამ-გვარი ტრანსფორმაციით კი მივიღეთ არა მხოლოდ „გაინგლისურება“, არამედ ტრანს-კულტურაცია. კუპერსონმა წიგნის სათაურიც, მაკამების სახელწოდებებიცა და პერსო-ნაჟების სახელებიც შეცვალა, ნოველებს განმარტებანი და გამოყენებული ლიტერატურა დაურთო, რაც მათ ადეკვატურ აღქმაში გვეხმარება. პიკარესკულ სტილში დაწერილი ამბები 21-ე ს-შიც ავანტიურისტული ხასიათის გამო უნდა გამხდარიყო პოპულარული, თუმცა ახალი თარგმანის უპრეცედენტო წარმატების მიზეზად მისი ლინგვისტური მხარე იქცა.

ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში, როცა მეტყველებენ არა არსზე, არსებითზე, არა-მედ ალგორითმულად და ალგორითმებით; როდესაც ლიტერატურული ინგლისური თანდათან ღარიბდება, რასაც საგანგაშოდ მიიჩნევენ ინგლისურენოვანი ავტორები, „თაღლითობანი“ უჩვეულოდ მდიდრული ლექსიკითა და შემოქმედებითობით მკი-თხველმა აღიქვა როგორც თანამედროვე გლობალური ინგლისურის სახელმძღვანელო. თუ არაბი ავტორი მაშინდელი საერთაშორისო ენის, ლიტერატურული არაბულის შე-

სადღებლობების ხაზგასმას ცდილობდა, კუპერსონმა 21-ე ს-ის *ლინგუა ფრანკას* მრავალფეროვნება წარმოაჩინა.

საკვანძო სიტყვები: კლასიკური მაკამა, გლობალური ინგლისური, ტრანსკულტურაცია, იმიტაცია, *ლინგუა ფრანკა*.

2020 წელს ნიუ იორკის უნივერსიტეტის გამომცემლობამ არაბი კლასიკოსის ალ-ჰარირის (1054-1122) მაკამების ინგლისური თარგმანი გამოსცა. თარგმანი შესრულდა პროექტ „არაბული ლიტერატურის ბიბლიოთეკის“ ფარგლებში, რომელსაც აფინანსებს ნიუ იორკის უნივერსიტეტი (აბუ დაბიში). მისი მიზანია არაბთა კულტურული მემკვიდრეობის ფართო საზოგადოებისთვის გაცნობა.¹ მე-13 ს-ის გამორჩეული ლიტერატურული ძეგლი – ალ-ჰარირის „მაკამები“ კალიფორნიის უნივერსიტეტის (ლოს ანჯელესში) ასოც. პროფ. მაიკლ კუპერსონმა თარგმნა. წინამდებარე სტატიაში შევეხებით შემდეგ საკითხებს: რა გახდა აქამდე უკვე არაერთგზის თარგმნილი მაკამების ხელახლა თარგმნის მიზეზი? რა სტრატეგია აირჩია მთარგმნელმა ამ არც თუ ისე იოლი ამოცანის შესრულებისას? როგორ აღიქვა მისი ნამუშევარი ამერიკულმა მკითხველმა საზოგადოებამ?

მაკამა შუა საუკუნეების არაბული პროზის ჟანრია, რომელსაც ანალოგი არ მოეპოვება ევროპულ ლიტერატურაში. მე-10 ს-ში წარმოქმნილი ეს მხატვრული ფორმა კვლავ აგრძელებს არსებობას (ეგვიპტეში, თუნისში, ლიბანში, ერაყში, სირიაში და სხვ.) და დღემდე ორიგინალური არაბული ლიტერატურული ტრადიციის განუყოფელ ნაწილად აღიქმება. მაკამა მცირე ზომის ნოველაა თაღლით მოხეტიალე პერსონაჟზე. როგორც წესი, ის იწერება გართმული პროზით, თუმცა ტექსტში ჩართულია ლექსებიც. შუასაუკუნეებში არ იყო მიღებული ერთი ან ორი ცალი მაკამის წერა. იქმნებოდა მთელი ციკლი ნოველებისა (ათეულობით მაკამა), რომელსაც ერთი სიუჟეტი ჰქონდა – განათლებული მატყუარა პერსონაჟის ხეტიალი სარჩოს საშოვნელად. ამ, ერთმანეთისგან დამოუკიდებელ, ამბებს ორი პერსონაჟი – მთხრობელი და მთავარი გმირი, აერთიანებდა. კლასიკურ მაკამებში მთხრობელი ყოველ ჯერზე ხვდება მთავარ გმირს და საკუთარი თვალთა ნაწილით გვიამბობს მისი თაღლითური საქციელის შესახებ.² ალ-ჰარირის ნაწარმოები, რომელიც ორმოცდაათი მაკამისგან შედგება, ყველაზე ცნობილი იყო ამ ჟანრის ქმნილებებს შორის. იმხანად პროზის ნიმუშებს საჯაროდ კითხულობდნენ მეჩეთებსა თუ ყავახანებში. ენის სირთულის მიუხედავად, ეს ტექსტი ყურანის შემდეგ უპოპულარულესი საკითხავი გახდა ესპანეთიდან მოყოლებული ინდოეთის ჩათვლით (Wacks 2003, 180).

ალ-ჰარირის მაკამების ორიგინალი ევროპაში პირველად ჯვაროსნული ლაშქრობების შედეგად მოპოვებულ ნადავლთან ერთად აღმოჩნდა. მაროკოელი მკვლევარი აბდელფათაჰ ქილიტო აღნიშნავს: „ევროპის ჩვილმა საზოგადოებამ აღმოსავლეთიდან გატანილ განძს შორის წაიღო მაკამებიც, როგორც საუნჯე, ოქროს საბადო“ (Killitū 1993, 165). მე-17 ს-ში რამდენიმე მაკამა ითარგმნა ლათინურად, რასაც მოგვიანებით ფრანგული, გერმანული და ინგლისური თარგმანები მოჰყვა. თუმცა ევროპაში შედარებით ახლანდელმა მაკამები უთარგმნელად მიიჩნი-

¹ თვალნათლივ იკვეთება არაბების ძალისხმევა, ფინანსურად ზურგი გაუმაგრონ მათ, ვისაც კლასიკური არაბული კულტურის პოპულარიზაციაში შეაქვე წვლილი – თანამედროვე რიგითი მკითხველები მრავალფეროვან არაბულ ლიტერატურულ მემკვიდრეობას ხომ ყურანითა და „ათას ერთი ღამით“ იცნობენ მხოლოდ?! აღნიშნული პროექტის ფარგლებში, 30-კაციანი საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოთი, 2012 წ-დან გამოიცემა მე-7-მე-18 სს-ის სხვადასხვა ჟანრის (მხატვრული, რელიგიური, სამეცნიერო, ფილოსოფიური, იურიდიული, სამოგზაურო, ისტორიული და ა.შ.) არაბული ნაწარმოებები შესაბამისი კომენტარებით, ასევე მათი ინგლისური თარგმანები. ზოგიერთი ეს ძეგლი პირველად ხდება საერთაშორისო ყურადღების ღირსი, რადგან აქამდე ე.წ. „დაცემის ხანის“ (მე-13-მე-18 სს.) ლიტერატურა ყველაზე ნაკლებად იყო შესწავლილი, მეტიც, ზოგი ნიმუში ბოლო დრომდე მხოლოდ ხელნაწერის სახით არსებობდა. არაბული ვარიანტები ყველასათვის ხელისაწვდომია „არაბული ლიტერატურის ბიბლიოთეკის“ ვებ-გვერდზე: <https://www.libraryofarabicliterature.org/>.

² უფრო ვრცელად მაკამის შესახებ იხ.: დოლიძე 2010.

ეს. ფრანგი ორიენტალისტი სილვესტერ დე სასი ალ-ჰარირის „მაკამების“ ფრანგული თარგმანის შესავალში მიუთითებდა, რომ აქ მთავარი ფორმაა და არა შინაარსი, ამ ფორმის თარგმნა კი შეუძლებელიაო (de Sacy 1822, 14).

თავი რომ დავანებოთ ენის საოცარ სირთულეს, გართმული პროზისა და პოეზიის მონაცვლეობას და სტილთა იერარქიას ასახვის ობიექტის მიხედვით (სიტყვით გამომსვლელი, მქადაგებელი, მთავარი გმირი, ამბის მთხრობელი, ანეკდოტის მთქმელი და ა.შ. სხვადასხვა სტილითა და ლექსიკით გადმოსცემს სათქმელს), მაგ., 28-ე მაკამში სულ უწერტილო ფრაზები გვხვდება, მე-6-ში მხოლოდ წერტილიანი ასოებისგან შემდგარ სიტყვას მხოლოდ უწერტილო ასოებისგან შემდგარი ცვლის; მე-8, 35-ე, 43-ე და 44-ე მაკამებში გართმული პროზითა თუ ლექსით გადმოცემული ამბავი ისეთი მრავალმნიშვნელობიანი სიტყვებისგან შედგება, რომ მისი შინაარსის გაგება ორგვარად შეიძლება; მე-16-ში გვხვდება პალინდრომები (როცა ფრაზა წაღმა-უკუღმა ერთნაირად იკითხება), მე-17-ში მთავარი გმირის მთელი სიტყვა თავიდანაც შეიძლება წაიკითხო და ბოლოდანაც (თან ის ორივე შემთხვევაში მჭევრმეტყველურია); 32-ეში სიტყვების თამაშით აგებული გამოცანებია და ა.შ. ყველაფერ ამის ფონზე სიუჟეტი საკმაოდ პრიმიტიულია. ამიტომაც იყო, რომ ყველა ის, ვინც მაკამების ლექსიკურ თარგმანს მიჰყო ხელი, ფაქტობრივად ხელმოცარული დარჩა. მაგ., ინგლისურენოვან მთარგმნელებს შორის პირველი – ჩაპელოუ (მისი თარგმანი გამოიცა 1767 წელს) მნიშვნელობას ანიჭებდა ტექსტის შინაარსს და ფიქრობდა, მაკამებში გაფანტული შეგონებები ადამიანებს უკეთესებს გახდიდა – მას თითოეული სიტყვის ყველა შესაძლო ვარიანტი ჰქონდა თარგმნილი, რაც წასაკითხად და აღსაქმელად საკმაოდ რთულია. ჩენერი (მისი თარგმანი გამოიცა 1867 წელს), დე სასის რჩევით, ალ-ჰარირის მაკამებს თავიდანვე მიუდგა როგორც არაბულის შესასწავლად განკუთვნილ ტექსტს. მისი თარგმანი მოგვიანებით სთეინგასმა დაასრულა (გამოიცა 1898 წელს). ეს ნამუშევარი არ იყო გათვალისწინებული ფართო მკითხველისთვის. ჩაპელოუს, ჩენერისა და სთეინგასის ზედმიწევნითი ლექსიკური თარგმანები ვერ გასცდა სამეცნიერო წრეებს, ვერ გახდა ცნობილი ანგლოფონურ კულტურაში. ინგლისურ ენაზე მთარგმნელთაგან თეოდორ პრესტონი ყველაზე მეტად შეეცადა იმიტაციის შექმნას, თუმცა ორიგინალის სამი მეოთხედი გამოტოვა (მისი თარგმანი გამოიცა 1850 წელს).

არსებობს მოსაზრება, რომ იმიტაცია (როდესაც მთარგმნელი ორიგინალის სიტყვებს ცვლის) თანამედროვე სალიტერატურო ბაზარზე უფრო და უფრო მეტ ადგილს დაიკავებს (Kroll 2018, 561), თუმცა ეს ცალკე განსახილველი საკითხია. მაიკლ კუპერსონის აზრით, თუკი გვინდა, ალ-ჰარირის მაკამები თანამედროვე ეპოქაში გახდეს პოპულარული, არაფერს მოგვცემს მეტაფრაზა (სიტყვის დონეზე თარგმანი) ან პარაფრაზა (წინადადების დონეზე თარგმანი). ასეთი თარგმანი შეიძლება მხოლოდ სალიტერატურო არაბულის შემსწავლელი კურსის სტუდენტისთვის აუდიტორიაში წასაკითხ მასალად გამოდგეს. რიგითი მკითხველი ალ-ჰარირის მაკამების ლექსიკურ თარგმანს ვერ წაიკითხავს, ვერ აღიქვამს და, შესაბამისად, კვლავ არაფერი ეცოდინება ამ უნიკალური ძეგლის შესახებ. სწორედ ამიტომ მიმართავს ის იმიტაციას. მედიევისტური ძეგლები ხშირად ითარგმნება ცალკე სამეცნიერო წრეებისთვის (უამრავი კომენტარითა თუ სკრუპულოზური გამარტებებით), და ცალკე – ფართო მკითხველი აუდიტორიისთვის. კუპერსონის სამიზნე აუდიტორიას არასპეციალისტები წარმოადგენენ, თუმცა მის თარგმანში მაკამებს არა მხოლოდ ლექსიკური განმარტებები, გამოყენებული ლიტერატურის სიაც კი ახლავს.

ნებისმიერ შემთხვევაში შუასაუკუნეების პროზის სპეციფიკურობის გათვალისწინება აუცილებელია. ტიპურ მედიევისტურ თხზულებებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფორმას, მხატვრულ ენას, მაღალფარდოვან ლექსიკას, სტილს. ავტორის ინდივიდუალური ხედვა იგნორირებულია და ის მოგმართავს საზოგადოდ მიღებული პოზიციიდან, რომელსაც უმეტესწილად დომინანტური რელიგიური აზროვნება განაპირობებს. საკუთარი აზრის გამოთქმა ლამის უწესობად ითვლება. მთავარია დიდაქტიკურობა. კლასიკური პროზაული ტექსტის შინაარსი, როგორც წესი, მარტივია, სიუჟეტი – პრიმიტიული, ხოლო მოქმედებათა გან-

ვითარება – ერთგვაროვანი. ერთი და იგივე ქმედება სხვადასხვა ვარიაციებით მეორდება. არ გვხვდება სიუჟეტის განვრცობა პეიზაჟებისა თუ პერსონაჟთა გარეგნობის აღწერით, მათი ხასიათის განვითარებით. დრო და სივრცე არაადეკვატურადაა აღქმული – ნაწარმოების გმირები მოკლე დროში უზარმაზარ მანძილებს ფარავენ და სხვ.³ ამიტომ მედიევისტური ძეგლების მონოტონურობა, ერთი და იმავეს ხშირად გამეორება, მოულოდნელობის ეფექტის არარსებობა და სხვ. ნაკლად არ უნდა აღვიქვათ. არ უნდა გაგვაღიზიანოს პირობითობამ, უსაგნო მრავალსიტყვაობამ, მტკნარმა რიტორიკამ... (ალექსიძე 2012, 154). როგორც ალ-ჰარირის მაკამების ახალი თარგმანის შესავლის ავტორი, მედიევისტი აბდელფათაჰ ქილიტო სამართლიანად შენიშნავს, შუასაუკუნეებში მთავარია ჟანრი/ფორმა და არა ავტორი/ინდივიდი. ამიტომაცაა, რომ მხოლოდ ლექსიკური თარგმანი ვერ აქცევს ალ-ჰარირის მაკამებს ანგლოფონური ლიტერატურის ნაწილად. ვერბალური პერფორმანსის სულის გადმოტანა მნიშვნელოვანი და არა სიტყვასიტყვითი თარგმანი. კუპერსონის ნამუშევარი იმიტაციაა და არა ზუსტი თარგმანი (Al-Hariri 2020, IX).

ალ-ჰარირის ე.წ. ნოველათა ციკლში საჭიროზე მეტია ე.წ. „ვერბალური პერფორმანსი“ – სიტყვათა თამაში, პერსონაჟთა საუბარსა თუ ქადაგებებში მიმობნეული მჭევრმეტყველების მარგალიტები თუ ბრძნული შეგონებები. რა თქმა უნდა, იმჟამინდელი ეთიკური ნორმების შესაბამისად, წინ არის წამოწეული ფორმა, სიტყვა, არაბულის როგორც ღვთის ენის მთელი ბრწყინვალეების წარმოჩენა. ალ-ჰარირის თითქოს მიზნად დაესახა იშვიათად ხმარებული ლექსიკური ელემენტების გამოყენება. ცნობილია, რომ მწერალი ერთხანს ბედუინებთანაც კი დასახლდა, სალიტერატურო არაბულის ცოდნა რომ გაეუმჯობესებინა. ალ-ჰარირი პირველ რიგში ფილოლოგი გახლდათ (საკმაოდ საინტერესო ფილოლოგიური ტრაქტატების ავტორი), რომელიც თვლიდა, რომ მე-13 ს-ის ბასრასა და ბაღდადში უკვე გარყვნილი და წაბილწული იყო ყურანის ენა, ხოლო ბედუინებს, როგორც ტრადიციულ საზოგადოებას, ნამდვილი და შეუბღალავი არაბული შემოენახათ. სწორედ მათგან იწერდა ბასრასში განათლებამიღებულ მწიგნობარი იშვიათად ხმარებულ სიტყვებსა და გამოთქმებს, რათა შემდეგ ისინი თავისი ნაწარმოებების წერისას გამოეყენებინა. ალ-ჰარირის, იმ პერიოდის სხვა ავტორთა მსგავსად, თითქოს იმის დამტკიცება სურდა, ღვთის ენას ყველაფერი შეუძლიაო. დღეს, სპეციალური კომენტარების გარეშე, თვით არაბებისთვისაც შეუძლებელია მისი მაკამების წაკითხვა.

როგორ უნდა შექმნა ამგვარი „ლინგვისტური აკრობატიკის“ ინგლისური ადეკვატი მანერა, როცა ამ შემთხვევაში მთარგმნელი ენა გარითმული პროზის მიმართაც კი მეტად მოუქნელია (რომ აღარაფერი ვთქვათ უთარგმნელ პალინდრომებზე)?! ლექსი, ცხადია, უნდა ითარგმნოს ლექსად, სხვა ენობრივი ხრიკებისთვის თუ განსხვავებული (ე.წ. მაღალი და დაბალი) სტილისთვის კი მთარგმნელ ენაში შესაბამისი ეკვივალენტები უნდა გამოიძებნოს. კუპერსონმა გადაწყვიტა, გლობალური ინგლისური ენა გამოეყენებინა. სიტყვათა თამაში მას ინგლისურის ორმოცდაათ სხვადასხვა რეგისტრში გადააქვს. იმაზე მინიშნება, თუ როგორ უნდა წავიკითხოთ ესა თუ ის თარგმნილი მაკამა, ორმოცდაათივე ნოველის შეცვლილ სათაურებშია მოცემული. თუ ალ-ჰარირის მაკამების სათაურები უმეტესად გეოგრაფიულ სახელწოდებებს შეიცავენ (მაგ. სანას მაკამა, დამასკოს მაკამა, ალექსანდრიის მაკამა და სხვ.) და მიუთითებენ იმაზე, თუ სად ვითარდება მოქმედება მოცემულ მაკამაში, თარგმანში სათაური მკითხველს ინგლისური ვარიანტის ადეკვატურად აღქმაში „ეხმარება“. მაგ., 27-ე მაკამა, რომელშიც ცხენის მოპარვის ფაქტია აღწერილი, დასათაურებულია როგორც “The Wild East” და აქ ამერიკული ვერსტერნის (American West) სლენგი (American Cowboy Slang) მოგხვდებათ თვალში. კუპერსონის აზრით, მაკამების სათაურების შეცვლა დასაშვებია, რაკი ალ-ჰარირის ნაწარმოებში მათ კონტექსტის თვალსაზრისით მნიშვნელობა არ ენიჭებათ. გეოგრაფიული სახელწოდებები პირობითია, ისინი უფრო გმირის მუდმივ მოძრაობასა და ძიების პროცესს უსვამენ ხაზს (Al-Hariri 2020, 17).

³ უფრო ვრცლად ალ-ჰარირის მაკამების როგორც ტიპური შუასაუკუნეების ძეგლის შესახებ იხ.: დოლიძე 2012.

თანამედროვე მთარგმნელმა სათაურები არა მხოლოდ ცალკეულ მაკამებს/ნოველებს, არამედ მთელ ნაწარმოებსაც შეუცვალა და „მაკამებს“ (المقامات) „თაღლითობანი“ (“Impostures”) უწოდა. ჩანს, კუპერსონი ფიქრობს, რომ გადაკეთებული სათაური მკითხველისთვის უფრო იოლად აღსაქმელი იქნება. მართლაც, წიგნის სახელწოდებიდან უკვე ცხადი ხდება, რომ შუასაუკუნეების ამ კლასიკური ნიმუშის მთავარი თემა მოტყუება, სხვისი გაცურება უნდა იყოს, რაც სათაურში „მაკამები“ სპეციალური განმარტების გარეშე არ იკვეთება. კუპერსონი ეთანხმება ფრანგ მეცნიერს, კატია ზახარიას იმაში, რომ ტერმინი „მაკამა“ უშუალოდ ლიტერატურულ ჟანრთან მიმართებაში არც ერთ მანამდე არსებულ მის სალექსიკონო მნიშვნელობას („დგომის ადგილი“, „შეკრების ადგილი“, „შეკრებილი ხალხი“, „შეკრებაზე სიტყვით გამომსვლელი“, „შეკრებაზე წარმოთქმული სიტყვა“ სხვ.) არ ესადაგება. ამიტომაც არ მიიჩნია მან სათაურის დატოვება აუცილებლობად.

თუნდაც მაკამა „დგომა“, „წარმოთქმული სიტყვა“ ყოფილიყო, მან დროთა განმავლობაში დაკარგა ეს თავდაპირველი მნიშვნელობა ისევე, როგორც, მაგალითად, დღეს არავინ იცის, თუ რა იყო „ტრაგედიის“ პირვანდელი მნიშვნელობა, – განმარტავს მთარგმნელი, – მაკამა უბრალოდ ჟანრია (ჟანრის სახელწოდება) ან ერთი ნიმუში ამ ჟანრისა (Al-Hariri 2020, XIX).

სათაურების გარდა კუპერსონის თარგმანში შეცვლილია ბევრი სიტყვა, წინადადება, თუმცა შინაარსი, ძირითადი აზრი შენარჩუნებულია. ალ-ჰარირის მაკამებში მიმოხილული პოეზიის ნიმუშების თარგმანში ამა თუ იმ ინგლისელი პოეტის მოდელებია გამოყენებული, გართმული პროზის გადმოტანისას კი კუპერსონი მიმართავს ერთი მხრივ, კლასიკოსი ინგლისურენოვანი მწერლების ენას და, მეორე მხრივ, სალაპარაკო ინგლისურს/სლენგს (ორიგინალის სტილის შესაბამისად). აქ ძირითადად სამი სახის იდიომა გვხვდება: 1) კონკრეტულ მწერალთან დაკავშირებული (მაგ., ჩოსერთან მე-10 მაკამში), 2) გლობალური (მაგ., სინგაპურული (3), შოტლანდიური (14), ინდური (15), ესპანური⁴ (16), ახალი ზელანდიის⁵ (28), აფრო-ამერიკული (21), ნიგერიული⁶ ინგლისური ენა) და 3) ჟარგონი (მაგ., საქმიანი მოლაპარაკების⁷ (32), აშშ კოლეჯის (37), ლონდონური⁸ (23, 44), ქურდული (42) სლენგი, სამართლებრივი დოკუმენტების ენა (32) და ა.შ.). ზოგიერთ მაკამში სხვადასხვა სტილია შერწყმული, როგორც არის მაგ., ნიუ იორკის აფრო-ამერიკული⁹ სლენგი და მაწანწალების ლექსიკა და სხვ. პერსონაჟის მეტყველება თანამედროვე ეპოქაში შეიძლება იყოს ბილინგვური. ყოფით საუბარში არავინ იყენებს სტანდარტულ ინგლისურს, რომლითაც წერენ. შესაბამისად, პერსონაჟთა დიალოგებში კუპერსონიც იყენებს სალაპარაკო ენას.

საგულისხმოა, რომ სალექსო მოდელებისა და იდიომების თარგმნისას კონკრეტული ინგლისურენოვანი ავტორების შერჩევა არ იყო შემთხვევითი. მაგალითად, თუ შექსპირის, ჩოსერის, დიკენსის, გილბერტის, ფრედერიკ დუგლასის, მარკ ტვენისა და ვირჯინია ვულფის ენა მისაღები აღმოჩნდა მთარგმნელისთვის, ჯონ მილტონის ენა მას არ გამოადგა, რადგან მილტონი ეპიკური ნაწარმოებების ავტორია, ხოლო მაკამებში, როგორც თავად განმარტავს, არაფერია ეპიკური (Al-Hariri 2020, XXV). ამგვარად, კუპერსონს ორმოცდაათივე მაკამა განსხვავებული ენით, სტილით აქვს თარგმნილი. „თაღლითობანი“ გახლავთ ლიტერატურულ თხზულებათა კრებული, სადაც გამოყენებულია გლობალური ინგლისურის ვარიაციები და სპეციფიკურ ჟარგონსა თუ უცნაურ შედარებებზე დაფუძნებული ინტერპრეტაცია.¹⁰

⁴ Spanglish.

⁵ Kiwi.

⁶ Naijá.

⁷ Management speak.

⁸ Cockney.

⁹ Middle Harlem Jive 1940.

¹⁰ „თბილისური მაკამის“ ინტერპრეტაციაზე ვრცლად იხ.: დოლიძე 2023.

პირველივე მაკამა, სადაც მოქმედება იემენის დედაქალაქში ვითარდება, იწყება ასე:

lammā ġarabtu ġāriba-l-igtirābi wa an'atanī-l-matrabata 'ani-l-atrābi ṭawwāḥat lī ṭawā'ihu-z-zamani ila ṣan 'ā'i-l-yamani (Al-Ḥarīrī 1980, 118).

“სიღარიბემ ჩამომაშორა მეგობრებს, ახლობლებს და მოხეტიალედ მაქცია. ცხოვრების ბედუკუღმართობამ გადამისროლა იემენის ქალაქ სანაში” (დოლიძე 2010, 147).

ეს ფრაზა კუპერსონს შემდეგნაირად აქვს თარგმნილი:

“I hadn't got any money, so I made up my mind to leave my loved once behind and sling a leg over the back of beyond, and see what luck I'd have. I had some adventures, which throwed me this way and that and th' other, but after a long time I land in Sana, which is the Kingdom of Sheba¹¹” (Al-Hariri 2020, 13).

აქ გამოთქმა “sling a leg over the back of beyond” მარკ ტვენისგანაა აღებული. მთარგმნელმა “back of beyond” ორიგინალის სიტყვათა თამაშის *ġāriba-l-igtirābi*-ის შესატყვისად მიიჩნია. *ġāriba* და *igtirāb* არაბულში ერთი ძირისაა და დაახლოებით ერთნაირად ჟღერს, თუმცა შინაარსით აბსოლუტურად განსხვავებულია. პირველი ნიშნავს „ნიდაოს“, ხოლო მეორე – „სამშობლოდან შორს ყოფნას“.

პირველივე მაკამის სათაური („სანას მაკამის“ ნაცვლად მას ეწოდება “Ever the Twain Shall Meet”) მიგვანიშნებს, რომ ის მარკ ტვენის მიხედვითაა „გაინგლისურებული“. განმარტებულია, რომ ამ მაკამაში მთხრობელის, ალ-ჰარისის ხმა ჰეკლბერ ფინს ეფუძნება, ხოლო მისი პირველი შეხვედრა მთავარ მოხეტიალე გმირთან – აბუ ზაიდთან, როგორც განათლებულ და ენაწყლიან პროტაგონისტთან, ჰეკლის მიერ ორი კეთილშობილი წარმომავლობის პერსონაჟის – მეფის და ჰერცოგის შეხვედრის აღწერის ასოციაციას ბადებს (Al-Hariri 2020, 13). ამგვარი მცირე შესავალი (სათაურთან განმარტების სახით მიწერილი) თითქმის ყველა მაკამას ახლავს.

კლასიკური მაკამების გაინგლისურებისას კუპერსონი თითქოს შეეცადა, თანამედროვე ინგლისურის შესაძლებლობები მაქსიმალურად წარმოეჩინა ისე, როგორც თავის დროზე ალ-ჰარირი ცდილობდა სალიტერატურო არაბულის შესაძლებლობების წარმოჩენას. თუმცა თუკი შუასაუკუნეების ავტორის უპირატესობა გართიმული პროზის, პოეზიის, იშვიათი ლექსიკის, ხატოვანი ენობრივი სამკაულების, უხვი შედარებებისა თუ მეტაფორების გამოყენება იყო, ის აშკარად „მოიკოჭლებდა“ ჟარგონის კუთხით. სალიტერატურო არაბული, როგორც წმინდა და დაკანონებული ენა, ამ მხრივ დიდი ინტერპრეტაციის საშუალებას არ იძლეოდა. ლიტერატურული კანონით შეზღუდულ გარემოში სიტყვათა თამაშზე კი ყურანის ენის შესაძლებლობებზე უნდა ყოფილიყო დაფუძნებული. კლასიკურ ტექსტებში არ იყო მიღებული დიალექტის გამოყენება იმის მიუხედავად, რომ არაბული ენის გავრცელების მასშტაბებს თუ გავითვალისწინებთ, სავარაუდოდ, სასაუბრო ენა მაშინაც მრავალფეროვანი იქნებოდა. კუპერსონს არ ჰქონია მსგავსი შეზღუდვა. მან თარგმანი სწორედ სალიტერატურო ინგლისურისა და გლობალურად (არა მარტო აშშ-ში) გამოყენებული სალაპარაკო ენის სტილთა მრავალფეროვნებაზე ააგო. მთარგმნელმა ამით ალ-ჰარირის ნაწარმოების სტილის სირთულეს მთელს მსოფლიოში უპრეცედენტოდ გავრცელებული ინგლისური ენის შესაძლებლობები დაუპირისპირა.

მაკამების უახლესი თარგმანის შესავალში მ. კუპერსონი აღნიშნავს:

¹¹ ინგლისურ თარგმანში გამოყენებული *შება* იემენის ისტორიული სახელწოდებაა. შებას სამეფო მოხსენიებულია ძველ აღთქმასა და ყურანში.

ვფიქრობ, ყველა არსებული დიალექტი, სლენგი, სალაპარაკო ენა წარმოჩენის ღირსია. სტანდარტული ინგლისურის გამომყენებლები ამ თვალსაზრისით არ არიან გამორჩეულნი... ინგლისურის გლობალურობის გარდა აქ არის სხვადასხვა მწერლებისა და იმ ადგილობრივ დიალექტებზე მოსაუბრეთა ენა, რომელთაც აზრს ვეკითხებოდი. მაგ., ნიგერიელი რომანისტი რიჩარდ ალი ნიგერიულ ინგლისურთან დაკავშირებით (45-ე მაკამა) დამეხმარა... (Al-Hariri 2020, XIIV).

შედეგად მივიღეთ ძალიან საინტერესო თანამედროვე თარგმანის ნიმუში, რომელთან მიმართებაშიც შეიძლება გამოვიყენოთ არა მხოლოდ ტერმინი გაინგლისურება (Englishing), არამედ ტრანსკულტურაცია (Transculturation) – ტრანსფორმაციის ფორმა, როდესაც არსებული კულტურული ელემენტების ახლით ჩანაცვლება ხდება. მთარგმნელი აქვე განმარტავს: „მე ვცვლი სიტყვებს, მაგრამ არა აზრს მაშინ, როცა იმიტატორს შეუძლია ზოგიერთ შემთხვევაში აზრიც შეცვალოს. ჩემი თარგმანი, პირველ რიგში, პერფორმანსია, რომელიც უნდა წაიკითხო როგორც ენის ზეიმი“ (Al-Hariri 2020, XIV). საგულისხმოა, რომ ალ-ჰარირის თანამედროვე ინგლისური თარგმანის მკითხველებსაც პირველ რიგში სწორედ „ენის ზეიმი“ მოხვდათ თვალში. ერთი შეხედვით, უახლეს ეპოქაში მაკამური ციკლი ავანტიურისტული ხასიათით უფრო უნდა გამხდარიყო პოპულარული – პიკარესკული ნოველების გონებამახვილი გმირის თავშესაქცევი თავგადასავალი უნდა აღმოჩენილიყო მეტი ყურადღების ღირსი (რაკი ძველად ასე დაფასებული მაღალფარდოვანი ლექსიკა, ბრძნული გამონათქვამები თუ შეგონებები თანამედროვეობისთვის ცოტა არ იყოს მოძველებულია), მაგრამ სინამდვილეში ასე არ მოხდა. შინაარსზე მეტად მკითხველი ფორმით მოიხიბლა და ინგლისურ ენაზე გადმოტანილი „ვერბალური პერფორმანსი“ დააფასა. კუპერსონის ნამუშევარმა არაერთი პრიზი დაიმსახურა.

2020 წელს მეთხუთმეტედ გაიცა შეიხ ზაიდის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული არაბული ჯილდო (جائزة الشيخ زايد للكتاب) სხვადასხვა კატეგორიაში. საემიროების პრინცის მიერ დაწესებულმა საუკეთესოდ დაფინანსებულმა ფონდმა მაიკლ კუპერსონის ნამუშევარი წლის გამარჯვებულ თარგმანად დაასახელა. ჯილდოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე აღნიშნულია, რომ ახლებურმა მიდგომამ მთარგმნელს შესაძლებლობა მისცა, უკეთ ჩასწვდომოდა ალ-ჰარირის მაკამებს, როგორც არაბული კულტურული მემკვიდრეობის განმს. შემოქმედებითი უნარების, მთარგმნელობითი გამოცდილებისა და იშვიათი ექსპრესიული ტექნიკის წყალობით კუპერსონმა შეძლო ინგლისურ ენაზე აზრიცა და სენტიმენტებიც სრულყოფილად გადაეტანა, რითაც ალ-ჰარირის მაკამებს მსოფლიო ლიტერატურაში დამსახურებული ადგილი მიუჩინა (Sheikh Zayed Book Award 2021).

„თაღლითობანი“ ამერიკის გამომცემელთა ასოციაციის (The Association of American Publishers) მთავარი ჯილდოს მფლობელიც გახდა. 2021 წლის 31 იანვარს 45-ე ყოველწლიურ დაჯილდოვებაზე 23 კაცთანმა ჟიურიმ 45 კატეგორიაში 125 ფინალისტი გამოავლინა. მათ შორის აღმოჩნდა კუპერსონის თარგმანი როგორც საუკეთესო პროზაული ნამუშევარი (AAP 2021). წიგნი მოხვდა ამერიკული ლიტერატურული თარგმანის ასოციაციის (ALTA – The American Literary Translations Association) მოკლე სიაშიც (ALTA 2021). „თაღლითობანი“ 2020 წლის 10 საუკეთესო თარგმანს შორის პირველ ადგილზე დასახელდა ამერიკული „Open Letters Review“-ს მიერ, რომლის მიმოხილვაშიც ვკითხულობთ: „კუპერსონმა არაბული ლიტერატურის შედეგის თარგმნა შეძლო ისე, რომ ორიგინალის მთელი რიტორიკული მრავალფეროვნება გასართობ საკითხავად გააცოცხლა. ამ შრომის შედეგი საკმაოდ შთამბეჭდავია“ (Donoghue 2020). „The Wall Street Journal“-იც გამოეხმაურა კუპერსონის თარგმანს და ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ამგვარი იმიტაცია მთარგმნლისგან უდიდეს დახელოვნებულობას მოითხოვს (Sacks 2020).

ისეთი ნაწარმოების სათარგმნად, რომელიც თითქმის ათასი წლის განმავლობაში უთარგმნელად ითვლებოდა, მხოლოდ ენის ცოდნა არ არის საკმარისი. ეს მოი-

თხოვს გამჭირახობას, შემოქმედებითობას, ისტორიის, ლიტერატურის ღრმა ცოდნას. ამ უნარებით კუპერსონმა მსოფლიო ლიტერატურის ევერესტის დაპყრობა შეძლო. შედეგი არ არის მხოლოდ თარგმანი. ეს გამოაგნებელი ლიტერატურული ქმნილებაა ინგლისურ ენაზე თავისი ლინგვისტური სავარჯიშოებით – პიტერ საგალის ეს სიტყვები კუპერსონის თარგმანის გარეკანზეა გამოტანილი (Al-Hariri 2020).

„თითქოს ამ თარგმანზე მთელი ჯგუფი მუშაობდა და არა ერთი ადამიანი, – წერს ერთ-ერთი რეცენზენტი, – თუ ალ-ჰარირი არაბული ლიტერატურის გიგანტია, იმავე შეფასებას იმსახურებს მისი მთარგმნელი. ორმოცდაათი აშბავი სხვადასხვა სტილითა და ხმითაა გამოცემული. მთხრობელის აქცენტიც ზუსტადაა მიგნებული“ (Gallagher 2020).

„თუ ალ-ჰარირის არაბული წმინდაწყლის მონოთეიზმის ენაა, კუპერსონის ინგლისური მრავალმერტიანობისაა ან მას სულაც არ ჰყავს ღმერთი. – აღნიშნავს ჟენევის უნივერსიტეტის არაბული ენის პროფესორი ბრიუს ფაჯი, – ეს თარგმანი განსაკუთრებით საინტერესო იქნება მათთვის, ვინც ინგლისურით, ან ზოგადად, ენითაა დაინტერესებული“ (Fudge 2020).

ისლამოლოგი ერიკ ორმსბი მიიჩნევს, რომ მაკამებში მთავარი გმირი არის ენა. მაგრამ როგორაა ის გაინგლისურებული?! მთარგმნელი ერთ-ერთ რადიონტერვიუში განმარტავს: „ალ-ჰარირის ენა მართლაც ფანტასტიკურია. აბუ ზეიდის ენის სრულყოფილი ცოდნა შეუძლებელია. თარგმნისას ვეცადე, პოეზია შემენარჩუნებინა“. პოეტურობის შენარჩუნების გარდა კუპერსონმა ნამდვილად მოახერხა, შეექმნა ერთგარი ლინგვისტური სახელმძღვანელო, რაც თანამედროვე ამერიკულ საზოგადოებაში მნიშვნელოვან შენაძენად იქცა (Ormsby 2021).

ელექტრონული ჟურნალი “The Point” აქვეყნებს კანადაში მოღვაწე სოციოლოგის პროფ. ჯასთინ სმიტის სტატიას, სადაც ავტორი თანამედროვე ინგლისურის მდგომარეობაზე ამახვილებს ყურადღებას:

ახლა ენას ემართება ის, რაც ინდუსტრიულმა რევოლუციამ თავის დროზე ტექსტილის წარმოებას დამართა. შესაბამისად, როგორც მე-19 ს-ში მქსოველები აღარ იყო საჭირო, დღეს მწერალმა რაც არ უნდა დაწეროს, წერას რომ დაასრულებს, აღმოაჩენს ინტერნეტის მიერ უკვე შექმნილ მსგავს ათასობით წინადადებას... ინტერნეტის ეპოქაში ჩვენ ერთი სისტემის თავისუფლებაწართმეულ ჭანჭიკებად ვიქცევით. ადამიანები მეტყველებენ არა არსზე და არსებითზე, არამედ ალგორითმულად და ალგორითმებით... PR-ის სპეციალისტები მეუბნებიან, რომ ჩემს ახლადდაწერილ წიგნს ვერ გავყიდი, რადგან ძალიან ცოტა მიმდევარი მყავს ტვიტერზე და მე არ ვარ „ინფლუნსერი“. მე არავინ ვარ, თუ სისტემაში არ ჩავკვეტე ჩემი თავი.. ლიბერალურმა დემოკრატამ ინდივიდუალური სახე დაგვაკარგვინა. შემოქმედებითობა ვერაფერს ცვლის... (Smith 2019).

ასეთ ვითარებაში განსაკუთრებულ მოვლენად აღიქმება იმგვარი შემოქმედებითობის სულით აღბეჭდილი თარგმანი, როგორიცაა „თაღლითობანი“, რომლის გამოხმაურებათა უმეტესობიდან იკვეთება, რომ ხელოვნური ინტელექტის წინააღმდეგ ომში ჩართულ ამერიკელ მკითხველებს ის ერთგვარ გამოსავლად ევლინება.

„თაღლითობანი“ მნიშვნელოვანია როგორც ლინგვისტური ნაშრომი, – აღნიშნავს ვირჯინიის ერთ-ერთ ინსტიტუტში მოღვაწე არაბისტი, მათეუ ჩოვანეცი, – კუპერსონის ენა ალგორითმებზე გაცილებით მაღლა დგას და ეს მით უფრო თვალნათლივია ალგორითმული ზედამხედველობისგან ისე შეწუხებულ საზოგადოებაში, ჯორჯ ორუელიც რომ ძნელად წარმოიდგენდა. ინტერნეტმა ენის წესები შეცვალა, ლინგვისტური რევოლუცია მოახდინა, ყველა ერთსა და იმავე დროს მწერლებად

და მკითხველებად აქცია. თუმცა ხელოვნური ინტელექტი უძლურია, თარგმნოს ამ რანგის მსოფლიო შედეგები, რომლის უგულებელყოფა და არშემჩნევა დანაშაულის იქნებოდა.

ჩოვანეცი მადლობას უხდის მთარგმნელს ამ შედეგის გაცნობისთვის და ამატებს, რომ მისი ნამუშევარი განსაკუთრებით ენის ლაბირინთებში ხეტიალის მოყვარულებს დაინტერესებს (Chovanec 2020).

კუპერსონმა არაერთხელ თარგმნილი მკაცრების ხელახლა თარგმნა მხოლოდ იმიტომ არ გადაწყვიტა, რომ ზოგადად, თარგმანი შესაძლოა, მოძველდეს. მისი მიზანი ალ-ჰარირის შედეგის პოპულარიზაცია იყო. ამ მიზნის მისაღწევად მან აირჩია იმიტაციის გზა. შედეგად, თარგმანმა მოწონება და კარგი შეფასება დაიმსახურა, როგორც ფართო საზოგადოების, ისე სპეციალისტების მხრიდან. მაღალმა რეიტინგმა კი ბუნებრივად შეუწყო ხელი კლასიკური არაბული ტექსტის პოპულარიზაციას. თუმცა საინტერესო ისაა, რომ მკითხველთა დიდმა ნაწილმა მდიდარი ლიტერატურული ინგლისურითა და მრავალფეროვანი სალაპარაკო ენით შესრულებული ეს თარგმანი აღიქვა როგორც იმის ერთგვარი სახელმძღვანელო, თუ როგორ არ უნდა გადარიბდეს თანამედროვე ინგლისური ენა. თუ მე-13 ს-ის ავტორი განადიდებდა ისლამის, შუასაუკუნეების ერთ-ერთი უდიდესი იმპერიის, და შესაბამისად, იმდროინდელ საერთაშორისო ენას, მაიკლ კუპერსონმა სცადა, გლობალიზაციის პირობებში სტიქიურად დაწინაურებული, ასევე მრავალფეროვნებით გამორჩეული *ლინგუა ფრანკას* მრავალმხრივი შესაძლებლობები წარმოეჩინა. თარგმანთან დაკავშირებით გამოქვეყნებული რეცენზიებიდან იკვეთება, რომ ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში, იმ გარემოში, სადაც რიგი მიზეზების გამო ინგლისური როგორც ზოგადად ენა, და როგორც სამწერლობო ენა, გადარიბების გზას დაადგა, „თაღლითობანი“ მდიდრული ლექსიკითა და შემოქმედებითობით ამერიკელ მკითხველს ლინგვისტურ სახელმძღვანელოდ მოეგვინა, რასაც ალ-ჰარირი ძნელად თუ წარმოიდგენდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ალექსიძე, ალ. 2012. *ბერძნული სარაინდო რომანის სამყარო (XIII-XIV სს.)*. თბილისი: ლოგოსი.
- დოლიძე, ნ. 2010. *მკაცრის ჟანრი არაბულ ლიტერატურაში*. თბილისი: თსუ.
- დოლიძე, ნ. 2012. „ალ-ჰარირის „თბილისური მკაცმა“. *მე-6 საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი – ლიტმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები: შუასაუკუნეების ლიტერატურული პროცესი. საქართველო, ევროპა, აზია*, თბილისის ლიტ. ინსტ., 24-26 სექტემბერი: 46-53.
- დოლიძე ნ. 2023. „თბილისური მკაცმის“ უახლესი ინგლისური თარგმანი“. *ტექსტი და ინტერპრეტაცია*, თსუ ჰუმ. მეცნ. ფაკულტეტის დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალი, No. 1. <https://doi.org/10.55804/jtsu-2960-9461-2023-15>.
- AAP – The Association of American Publishers, 2021. “The Association of American Publishers Announces Finalists for 2021 Prose Awards.” Press release, January 21, 2021. <https://publishers.org/news/association-of-american-publishers-announces-finalists-for-2021-prose-awards/?fbclid=IwAR3uUjyiE9KAXfUKgCYID0VnaJ2tlz-DcFtiqQEJ51bY8dl1-zEI0ekWzL8>.
- ALTA – The American Literary Translators Association, 2021. “Announcing the 2021 National Translation Awards in Poetry and Prose Shortlists,” September 30. <https://literarytranslators.wordpress.com/2021/09/30/announcing-the-2021-national-translation-awards-in-poetry-and-prose-shortlists/>.

- Chovanec, M. 2020. "Learning the Proper Posture to Become an Internet Imposter While Reading *Impostures*." *Mada*, June 3. <https://www.madamasr.com/en/2020/06/03/feature/culture/learning-the-proper-posture-to-become-an-internet-imposter-while-reading-impostures/?fbclid=IwAR0jCYx3ITIR-3gxDHKXsP7s8LKlxca2xGpcnb7CPFcmj8QJijYJY2qqglY>.
- Donoghue, S. 2020. "The Best Books of 2020: Literature in Translation." *Open Letters Review*, December 3. https://openlettersreview.com/posts/books-of-2020-literature-in-translation?fbclid=IwAR1njA_QPEDBZliddvtsDxGW_OEc9VEaA-7jh1bdwVkpmbR4ree1N-bMJsI.
- Fudge, B. 2020. "Al-Hariri's Fifty Tales: The Tongues of God and Man." *Marginalia*, December 18. <https://themarginaliareview.com/al-%E1%B8%A5ariris-fifty-tales-the-tongues-of-god-and-man/>.
- Gallagher, D. 2020. "Book Review: "The Impostures" a Brilliant Work of Translation, Wordplay." *The Free Lance-Star*, July 4. https://fredericksburg.com/entertainment/arts/books/book-review-the-impostures-a-brilliant-work-of-translation-wordplay/article_59273fb4-a409-5930-b543-343cfbd0d157.html.
- Al-Ḥarīrī, 1980. *Al-Maqamāt*. Bairūt: Dār al-Maṣādir (არაბულ ენაზე).
- Al-Hariri, 2020. *Impostures*. Translation by Michael Cooperson. NYU Press.
- Killitū, A. 1993. *Al-maqamāt wa-l-ansāq al-taqafīya*. Dār al-Baydā' (არაბულ ენაზე).
- Kroll, Paul W. 2018. "Translation or Sinology: Problems of Aims and Results." *Journal of the American Oriental Society* 138, no 3: 559-65.
- Library of Arabic Literature. <https://www.libraryofarabicliterature.org/>.
- Ormsby, E. 2021. "Fifty Twists of the Tongue. A Remarkable Version of a Remarkable Arabic Classic." *TLS*, January 8. <https://www.the-tls.co.uk/literature-by-region/asian-literature/impostures-al-hariri-michael-cooperson-book-review>.
- Sacks, S. 2020. "Fiction: Fifty Approaches to an Antic Arabic Masterpiece." *The Wall Street Journal*, June 26. https://www.wsj.com/articles/fiction-fifty-approaches-to-an-antic-arabic-masterpiece-11593180108?fbclid=IwAR2IWtU_peaRP2LU8zJdXSA0dvF0qVaVO-BGOpzr5PAV65rW48YIKROS7P0.
- de Sacy, S. 1822. *Les Séances de Hariri: Publiées en Arabe, avec un commentaire choisi*. Paris: Imprimerie Royale.
- Sheikh Zayed Book Award. 2021. "Winners Announced for 15th Sheikh Zayed Book Award", April 22. https://www.zayedaward.ae/en/media.center/news/winners.announced.for.15th.sheikh.zayed.book.award.aspx?fbclid=IwAR0qfLNMH5AmikaspRPbthQIbD656xF_jNZMr5JtBDhrpWgg2iEPSc2ibGY.
- Smith, Justin E. H. 2019. "It's All Over." *The Point*, January 3. <https://thepointmag.com/examined-life/its-all-over/>.
- Wacks, D. 2003 "The Performativity of Ibn al-Muqaffā's *Kalīla wa Dimna* and *al-Maqāmāt al-Luzūmiyya* of al-Saraqustī". *Journal of Arabic Literature* 34 (1-2): 178-189.